თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

# ო ქ მ ი № 21

29 ოქტომბერი 2019 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 29 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - არჩილ თხლაშიძე

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე — გიგა ორკოდაშვილი

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ნანა ხვისტანი;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — დავით გოგოშვილი;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე — დავით ღაღანიძე;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე — ლევან ლილუაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე — ზურაბ მუსაევი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე — ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" თავმჯდომარე — არჩილი თვალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარე ალექსანდრე კუპატაძე;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური
მოძრაობა“ თავმჯდომარე ალექსი მულიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური
მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე ბადური რევაზიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნაცარაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე ვასილ არაბული;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, გოჩა წაწალაშვილი, ლევან მრელაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი; შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მ/შ თინათინ არაბული; ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: მთვარისა სოლომნიშვილი, გიორგი ფარადაშვილი, ნიკა სახიაშვილი, ნიკოლოზ ესიტაშვილი;
მოქალაქე: არჩილ მჭედლიშვილი;
მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის 03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ლ.ბერძენაშვილი
12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის 12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ლ.ბერძენაშვილი
12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N32 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ.გალახვარიძე
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

7. ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შეღავათების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N15 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ღაღანიძე
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N18 განკარგულებაში„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.კოჭლოშვილი
13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

10. სხვადასხვა

დავით ღაღანიძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი ,,თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და

აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.არაბული

12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: იოსებ პარწიკანაშვილმა დასვა კითხვა მონიტორინგის განყოფილების ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით. შეკითხვას უპასუხეს მომხსენებელმა თინათინ არაბულმა და ლევან ბერძენაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთმა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: ზ. გრიშიკაშვილმა, ლ. მენთეშაშვილმა, ა. მახარიაშვილმა და ა. კუპატაძემ).

2. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28 (ოცდარვა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: ლ. მენთეშაშვილმა).

3. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28 (ოცდარვა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: ლ. მენთეშაშვილმა).

4. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავზერიძე

12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ბაადურ რევაზიშვილმა დასვა კითხვა მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის შესახებ.

ლევან კოჭლოშვილმა დასვა კითხვა იმ პროცედურებთან დაკავშირებით, რომელთა შემდგომაც მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანაზე მიიღება გადაწყვეტილება.

ალექსი მულიაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტს უნდა ერთვოდეს მიწის ნაკვეთების

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთმა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: ზ. გრიშიკაშვილმა, ზ. ნაცარაშვილმა, ლ. მენთეშაშვილმა. წინააღმდეგი 1(ერთი): ბ. რევაზიშვილი).

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავზერიძე
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ლილუაშვილმა, ზურაბ მუსაევმა, ზურაბ ნაცარაშვილმა დასვა კითხვა მოძრავი ქონების შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N32 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ.გალახვარიძე
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

7. მოისმინეს: ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები" თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

გადაწყვიტეს: ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულება მიმდინარე წლის 28 ოქტომბრიდან - 8 ნოემბრის ჩათვლით მიღებულ იქნას ცნობად.

8. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N15 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ღლანიძე
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

9.<u>მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N18 განკარგულებაში„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.კოჭლოშვილი

13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

10. <u>მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მომხს. დ.ღაღანიძე

**დავით ღაღანიძემ** ისაუბრა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ვითარების შესახებ და აღნიშნა, რომ გამოიკვეთა ახალი რეალობები, რის გამოცსაჭიროა შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ქალაქის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში დასახელებულნი იქნენ საკრებულოს წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ალექსი მულიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილ თვალიაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, არჩილ თხლაშიძე, გოჩა წაწალაშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე საკრებულოს წევრების მიერ დასმული იქნა სხვადასხვა შეკითხვები.

<u>გადაწყვიტეს:</u> შეიქმას თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფი ემდეგი შემადგენლობით:

1. დავით ღაღანიძე - თავმჯდომარე
2. არჩილ თხლაშიძე-წევრი
3. გიორგი ჩაბრაშვილი - წევრი
4. არჩილ თვალიაშვილი - წევრი
5. ალექსი მულიაშვილი - წევრი
6. ზურაბ ლილუაშვილი - წევრი
7. გოჩა წაწალაშვილი - წევრი
8. იოსებ პარწიკანაშვილი - წევრი

აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

11. სხვადასხვა -

1. **ლევან კოჭლოშვილმა** ისაუბრა სოფელ ართანის ცენტრში სკვერის და სპორტული ტრენაჟორების მოწყობისთვის განხორციელებულ სამუშაოებზე. მან აღნიშნა, რომ სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ და მუნიციპალიტეტის მერიამ არ უნდა ჩაიბაროს ასეთ მდგომარეობაში.
   ლევან კოჭლოშვილმა ასევე ისაუბრა იმის თაობაზე, რომ მერია გარკვეულ საკითხებში ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას დროულად; ვარდება ტენდერები; შეფერხებულია სოციალური პროგრამები; მერი არ წარმოადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ; ააიპ-ების ხელმძღვანელები არ მოდიან კომისიებზე, რათა წარმოადგინონ ინფორმაციები, სამაგიეროდ დიდი თანხები იხარჯება მივლინებებში.

2. **ზურაბ ლილუაშვილმა** ისაუბრა იმის თაობაზე, რომ სოფელ ბუშეტში საბავშვო ბაღი კვლავ არ ფუნქციონირებს და მერიამ დროულად უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

3. **იოსებ პარწიკანაშვილმა** აღნიშნა, რომ სოფელ ვანთაში ავარიულ მდგომარეობაშია ყოფილი ელექტრო გადამცემი ბოძი, რომელიც საფრთხის შემცველია და დროულად უნდა მოხდეს მისი დემონტაჟი.

   მან ასევე ისაუბრა ჭაბურღილების არასრულყოფილი მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ მათი მომსახურება უნდა ხდებოდეს სისტემატურად. შემსრულებელს ხელშეკრულებით უნდა განესაზღვროს, რომ დაზიანების შემთხვევაში 3 დღეში მოხდეს აღდგენა.

   სოფელ ვანთის ხევზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე იოსებ პარწიკანაშვილმა დააყენა საკითხი ხევის გაწმენდითი სამუშაოების აუცილებლობის შესახებ და ისაუბრა სოფლის ცენტრალურ უბნებში სასმელი წყლის მაგისტრალის შეცვლის აუცილებლობაზე.

   მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სოფელ აკურის მოსახლეობის მოთხოვნაა მოწესრიგდეს საგზაო ნიშნები და ასფალტის საფარის დაზიანებული მონაკვეთები შეკეთდეს დროულად.

4. **ლევან მრელაშვილმა** ისაუბრა ჭაბურღილების მომსახურების გაუმჯობესების აუცილებლობაზე. აგრეთვე ყურადღება გაამახვილა უპატრონო ძაღლების პრობლემაზე, რომელთა უმრავლესობაც საჯარო სკოლებთან იყრის თავს.

5. მოქალაქე **არჩილ მჭედლიშვილმა** ისაუბრა საკრებულოს წევრების ანგარიშებთან დაკავშირებით, რომელთაც გაეცნო ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით. მან დაუსვა კითხვები საკრებულოს წევრებს და აღნიშნა, რომ მისი აზრით ანგარიშებში არის ხარვეზები, რაც სამომავლოდ უნდა გაითვალისწინონ საკრებულოს წევრებმა.

საკრებულოს თავმჯდომარე　　　　　　　　არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო GEORGIA. TELAVI MUNICIPALITY COUNCIL * 231291535 *